ბიზნეს რეგისტრის წარმოება დანიაში

მანანა თელია
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: t.beridze@yahoo.com

რეზიუმე

მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესები დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს და ზრდის საერთაშორისოდ შედარებადი სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის წარმოების მოთხოვნილებას.

დანიაში, პირველი ბიზნეს რეგისტრი, 1959 წელს ჩამოყალიბდა. მიღებულ იქნა სპეციალური კანონი, რომელშიც ასახული იყო განსხვავება სტატისტიკის ბიზნეს რეგისტრსა და ცენტრალურ ადმინისტრაციულ ბიზნეს რეგისტრს შორის. ერთ-ერთი ბოლო დროის სიახლე კი სასოფლო-სამეურნეო რეგისტრის ბიზნეს რეგისტრთან გაერთიანება იყო.

რამდენიმე წლის წინ დამქირავებელთა მიერ საგადასახადო სამსახურებისათვის თავიანთ დასაქმებულთა შემოსავლებზე ინფორმაციის მიწოდების ახალი სისტემა იქნა შემოღებული, რომლის თანახმადაც დამქირავებელი არა მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის, არამედ იმ ადგილობრივი ერთეულის საქმიანობის სახის შესახებ ინფორმაციასაც იძლევა, რომლითაც დაქირავებული არის დასაქმებული.

იმედოვნებენ, რომ 2016 წლისათვის კომპანიებისათვის აუცილებელი გახდება სხვა საწარმოების მფლობელობის შესახებ ინფორმაციის ბიზნესის სამინისტროსათვის მიწოდება. თავის მხრივ ეს უკანასკნელი დანიის სატატისტიკის სამსახურს მიაწოდებს აღნიშნულ ინფორმაციას.

მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესები დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს და ზრდის საერთაშორისოდ შედარებადი სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის წარმოების მოთხოვნილებას.

პირველი ბიზნეს რეგისტრი დანიაში 1959 წელს (ბიზნეს აღწერის) საფუძველზე ჩამოყალიბდა. მიიღებულ იქნა სპეციალური კანონი, რომელშიც ასახული იყო განსხვავება სტატისტიკის ბიზნეს რეგისტრსა და ცენტრალურ ადმინისტრაციულ ბიზნეს რეგისტრს შორის. ძირითადი ინფორმაცია ორივე რეგისტრში (სახელები, მისამართები და ა.შ. აგრეთვე ადმინისტრაციული საიდენტიფიკაციო ნომრები) ერთნაერია, მაგრამ ზოგიერთი სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ სტატისტიკის ბიზნეს რეგისტრში.

დანიის სტატისტიკის სამსახური ამაყობს ერთის მხრივ იმით, რომ, მის მიერ ადმინისტრაციული და იურიდიული ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებისათვის გაწეული მუშაობა საზოგადოებრივი მიზნებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და მეორეს მხრივ, იმით, რომ საგადასახადო ორგანოებმა ისევე როგორც სხვებმა საჭიროდ მიიჩნიეს ცენტრალურ ადმინისტრაციულ ბიზნეს რეგისტრშიც ასახულიყო ადგილობრივი ერთეულის საქმიანობის სახესა და იურიდიულ ერთეულს შორის კავშირი ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ, ეკონომიკაში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სექტორი (ორგანიზაციები და ფერმერები) თავად დაინტერესდა სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით. შედეგად სტატისტიკის ბიზნეს რეგისტრისაგან განცალკავებით შეიქმნა დანიის სტატისტიკური სასოფლო-სამეურნეო რეგისტრი, რომლის განახლება 2008 წლამდე ხდებოდა უძრავი ქონების რეგისტრიდან.

1970 წლიდან მოყოლებული კანონის თანახმად, ნებისმიერი ადმინისტრაციული რეგისტრის მოსამზადებელ სამუშაოებში დანიის სტატისტიკის სამსახურის მონაწილეობა აუცილებლად ითვლება. სტატისტიკის სამსახური განსაზღვრავს შეცავს თუ არა ახალი რეგისტრი სტატისტიკისათვის საჭირო ინფორმაციას და ცდილობს გავლენა იქონიოს კანონმდებელზე რათა მხედველობაში მიიღონ სტატისტიკის სამსახურის მოთხოვნები/(საჭიროებები.

დანიის სტატისტიკის სამსახურმა გაწია სერიოზული მუშაობა "ჩრდილოვანი რეესტრის" აღმოსაფხვრელად. უახლესი მოვლენა რეესტრის სრულყოფის (განვითარების) თვალსაზრისით იყო სასოფლო-სამეურნეო რეგისტრის ზოგად ბიზნეს რეგისტრთან მიერთება. გამოყენებულ იქნა ორი ადმინისტრაციული რეგისტრი (ცენტრალური შინამეურნეობის ცხოველთა რეგისტრი და გენერალური სასოფლო-სამეურნეო რეგისტრი) რომლებიც მოიცავდა სასოფლო-სამეურნეო სექტორს, აგრეთვე ციფრული რუკები და ამ რუკებიდან ტყეების შესახებ ინფორმაციის ტრანსფორმაცია LKAU -ის განსაზღვრის მიზნით.

დანიის ბიზნეს რეგისტრის პირველი დაფუძნება. 1896 წლიდან 1958 წლამდე დანიაში 7 აღწერა ჩატარდა, რომელიც არა სასოფლო-სამეურნეო სექტორს მოიცავდა. პირველი ბიზნეს რეგისტრი, რომელსაც "სტატისტიკური მისამართების რეესტრი" დაერქვა 1959 წელს ბიზნეს აღწერის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ის მოიცავდა იმ კომპანიათა ჩამონათვალს რომელებიც მრეწველობის, მშენებლობისა და პროექტირების სფეროში საქმიანობდნენ. სია ყოველწლიურად მისამართების კატალოგიდან ახლდებოდა. ამ დროისათვის მხოლოდ პერფობარათები გამოიყენებოდა, რაც ძალიან ბევრ რესურსებს მოითხოვდა.

მეორე სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ჩამოყალიბების წინაპირობა. 1960 წლის ბოლოს ოთხი ელექტრონული ადმინისტრაციული რეგისტრი ჩამოყალიბდა და შემოღებულ იქნა მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემა. ეს იყო რევოლუცია. ეს ოთხი რეგისტრი გახლდათ:

- დამქირავებლისა და დაქირავებულის რეგისტრი (1965) ;
- ფიზიკურ პირთა რეგისტრი (1968);
- დამატებული ღირებულების გადასახადის

რეგისტრი (1967), ყველა საწარმო ვალდებული იყო დარეგისტრირებულიყო საგადასახადო ორგანოში (ელექტრონულ რეესტრში) თუ მათი ბრუნვა გადააჭარბებდა დათქმულ ზღვარს. მრავალი წლის განმავლობაში ეს რეგისტრი გამოიყენებოდა ბრუნვის სესახებ სტატისტიკის საწარმოებლად.

- საშემოსავლო გადასახადის რეგისტრი

(1969). ყველა დამქირავებელი ვალდებული გახდა დაეკავებინა საშემოსავლო გადასახადი ყოველი თანამშრომლისაგან თითოეულ ხელფასის გაცემისას.

ბოლო ორი რეგისტრი იძლეოდა ხელფასებისა და დაქირავებულთა შესახებ სტატისტიკის წარმოების საშუალებას.

ახალი სისტემის ფუნქციონირების ერთერთი პირობა იყო პერსონალური ID-ნომრის შემოღება. გარდა ID-ნომრისა ფიზიკურ პირთა რეგისტრი მოიცავდა მისამართების რეგისტრსაც. თითოეული სახლი და საცხოვრებელი განთავსებული იყო მისამართების რეგისტრში. ყოველ ქუჩას მინიჭებული ქონდა მუნიციპალიტეტის კოდი და ქუჩის კოდი. სახლის ნომერი (სართული და ბინის ნომერი) რომელიც უკვე ცნობილი იყო შეტანილ იქნა რეგისტრში. თუ საწარმო არ იძებნებოდა მისამართების რეესტრში ეს უკვე გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა. ხოლო თუ საწარმოს გააჩნდა ქუჩისა და სახლის ნომრის მონაცემები, მაშინ დანიის სტატისტიკის სამსახური ოფიციალურ მისამართების რეესტრს ამატებდა აღნიშნულ ინფორმაციას.

მისამართების რეგისტრი ჯერაც არ არის სრულყოფილი. ის სრულიად გარდაიქმნება შენობა-ნაგებობების რეგისტრად. თითოეულ საწარმოს მიეცემა ოფიციალური მისამართი. მაგრამ გარკვეული პრობლემას ქმნის ის საწარმოები რომლებიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ნაგებობასთან (ამ შემთხვევაში X-Y კოორდინატი იქნება გამოყენებული) და ის მფლობელები, რომლებიც არ ცხოვრობენ დანიაში. მიმდინარე სისტემა კარგია მოხმარების თვალსაზრისით, მაგრამ სრული ინტეგრაცია 2016 წლის მეორე ნახევრამდე ვერ მოხერხდება.

დანიის სტატისტიკის სამსახური ყოველთვიურად იღებს მონაცემებს დღგ-ს რეგისტრისაგან ბრუნვის შესახებ და საშემოსავლო გადასახადის რეგისტრისაგან ხელფასების შესახებ, რომლიდანაც დასაქმებულთა რაოდენობა იანგარიშება.

მეორე სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის შინაარსი. დანიის სტატისტიკის სამსახურს თავიდან არ ქონია მცდელობა გაეერთიანებინა საგადასახადოს ორი სისტემა. ორ განცალკავებულ ფაილს ინახავდა, მაგრამ მალე ძალზე აშკარა გახდა, რომ საინტერესო იქნებოდა ბრუნვისა და დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება. მალე ნათელი გახდა, რომ ამ ორი რეგისტრის ერთმანეთთან დაკავშირება საკმაოდ რთული იყო. საბედნიეროდ ორივე (დღგ-ს რეგისტრი და საშემოსავლო გადასახადის რეგისტრი) რეგისტრი ინახავდა ორ ან მეტ ადმინისტრაციულ ერთეულს შორის კავშირებს, რომლებიც თავის მხრივ ერთსა და იმავე იურიდიულ ერთეულთან იყვნენ დაკავშირებული. ორივე რეგისტრი ასევე ახდენდა ერთი ადმინისტრაციული ერთეულის, როგორც მთავარი ერთეულის იდენტიფიცირებას. ეს ინფორმაცია გამოყენებულ იქნა თითოეულ რეგისტრში იურიდიული ერთეულის შესაქმნელად.

ადმინისტრაციული ბიზნესის რეგისტრაცია. 1967 წელს ადმინისტრაციის სამინისტრომ დანიის სტატისტიკის სამსახურს თხოვა რომ შეექმნა ერთიანი ადმინისტრაციული ბიზნეს რეესტრი. დანიის სტატისტიკის სამსახურმა აიღო (იკისრა) ბიზნეს რეგისტრის შექმნის პასუხისმგებლობა როგორც საჯარო ასევე სტატისტიკური მიზნებისათვის, ისე, რომ საჯარო და სტატისტიკურ ნაწილებს შორის

ყოფილიყო მკაფიო განსხვავება. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, როგორიცაა სამართლებრივი ფორმა და საქმიანობის კოდი ერთი და იგივე იყო. დანიის სტატისტიკის სამსახურს ასევე გადაწყვეტილი ქონდა საერთო id-ნომრის შემოღება, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა თითოეული იურიდიული ერთეულის იდენტიფიცირებისათვის. მაგრამ თავდაპირველად რიგი პრობლემების გამო (საჭირო ხდებოდა ორ ძირითადი წყაროში -დღგ-ს სისტემა და შემოსავალი საგადასახადო სისტემა-ში ცვლილებების განხორციელება).

1975 წელს დანიის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი ადმინისტრაციულ ბიზნესის რეგისტრის შესახებ.

ადგილობრივი ერთეულის საქმიანობის სახის დასადგენად გაწეული მუშაობა. დანიის სტატისტიკის სამსახურს სურვილი ჰქონდა ეწარმოებინა სტატისტიკა დასაქმების შესახებ მუნიციპალიტეტების (ან კიდევ უფრო მცირე ტერიტორიების) მიხედვით. უმრავლეს შემთხვევაში დამქირავებლებს გააჩნდათ მხოლოდ ერთი ადგილობრივი ერთეული და ყველა დაქირავებული ამ ადგილზე უნდა მიწერილიყო. ეს ადგილი, როგორც წესი, საგადასახადოს მიერ უკვე იქნებოდა რეგისტრირებული. თუკი დასაქმებულთა ნაწილი ამ ადგილმდებარეობიდან შორს ცხოვრობდნენ, ეს მიუთითებდა, რომ ამ დამქირავებლის მიერ სულ მცირე კიდევ ერთი ადგილი იყო გამოყენებული. ამდენად სტატისტიკის სამსახურს შეეძლო თავისი კვლევა შეეზღუდა იმ დამსაქმებლებით, სადაც ასეთი სახის განსხვავებები გამოვლინდა.

ადგილობრივი ერთეულების საქმიანობის ერთეულის (LKAU) შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემა საგადასახადო ორგანოებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით შეიქმნა. სისტემა ამოქმედდა 1980 წლიდან. ყოველ LKAU-ს, რომელიც მიეკუთვნებოდა ისეთ იურიდიულ ერთეულს, რომელსაც გააჩნდა ერთზე მეტი LKAU, ენიჭებოდა სამნიშნა კოდი. ყოველ ნოემბერს სტატისტიკის სამსახური იურიდიულ ერთეულს უგზავნიდა LKAU-ის ჩამონათვალს შესაბამისი მისამართებითა და საქმიანობის კოდებით. იურიდიულ ერთეულს უნდა შეევსო მონაცემები და დაემატებინა ცვლილებების შესახებ მონაცემები (მაგ: საქმიანობის ცვლილება, ახალი LKAU-ის დამატება ან ისეთის წაშლა, რომელიც უკვე აღარ იყო მის საკუთრებაში). თუ ადგილი ქონდა LKAU-ის სხვის საკუთრებაში გადასვლას, მაშინ კითხვარი ეგზავნებოდა ახალ მფლობელს. როცა იურიდიული ერთეული საგადასახადო ორგანოებს უგზავნიდა ინფორმაციას დაქირავებულთა შემოსავლისა და საშემოსავლო გადასახადის შესახებ, მას უნდა მიეთითებინა იმ LKAU-ის სამნიშნა კოდი, რომელშიც თითოეული თანამშრომელი იყო დასაქმებული ნოემბრის ბოლოს. სადაც ადმინისტრაციული ერთეული შეესაბამებოდა მხოლოდ ერთ LKAU-ს, იურიდიული ერთეულს არ ევალებოდა LKAU-თან დაკავშირებული ფურცლის (სიის) შევსება ან დასაქმებულთათვის LKAU-ის შესაბამისი სამნიშნა კოდის მითითება. ეს სისტემა აგრეთვე მოიცავდა მისამართის შესწორებას იმ იურიდიულ ერთეულთათვის, რომელთაც მხოლოდ ერთი LKAU გააჩნდათ, მაგრამ იმისგან განსხვავებულ ადგილას (მისამართზე), ვიდრე დღგ-ს რეგისტრში იყო მითითებული.

1970-1980 წლებში მარტივ ჩანაწერთა სისტემა იყო აგებული. მაგრამ მალე გამოაშკარავდა ერთეულთა ერთი-ერთზე განთავსებასთან დაკავშირებული პრობლემა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი იურიდიული ერთეულის მიერ დღგ-ს რეგისტრში მითითებული მისამართი არ ემთხვეოდა საქმიანობის ადგილის მისამართს, არამედ წარმოადგენდა მფლობელის სახლის მისამართს. ეს კი იწვევდა იმას, რომ, ადმინისტრაციულ წყაროდან (დღგ-ს რეგისტრი) ყოველთვიურად მიღებული არასწორი ინფორმაცა ბიზნეს რეგისტრის განახლებისას (აქტუალიზებისას) გადაეწერებოდა ნოემბრის კვლევის საფუძველზე მოპოვებულ სწორ ინფორმაციას. ამდენად ჩანაწერთა ასეთი ფორმის კავშირები არადამაკმაყოფილებელი იყო.

1987 წელს დანიის სტატისტიკის სამსახურმა ადმინისტრაციულ ბიზნეს რეგისტრის ხმარებაში შემოიღო ახალი ID ნომრები (კოდები). 1992 წლიდან ახალი ნომრები (კოდები) უკვე დღგ-სა და საგადასახადო რეგისტრების მიერაც იქნა ხმარებაში შემოღებული.

დანიის ბიზნეს რეგისტრის მესამე ჩამოყალიბება. ზემოთ ნახსენებ ცვლილებების წყალობით სტატისტიკის სამსახურმა შეძლო ერთეულთა დაკავშირების ძველი სისტემის თავიდან მოშორება და ახალ რელაციური მონაცემთა ბაზებზე გადასვლა, რომლებიც მოიცავდა ადმინისტრაციულ ერთეულებს და მათ კავშირებს იურიდიულ ერთეულებთან. რელაციური ბაზები აგრეთვე მოიცავდა საწარმოებსა და LKAU-ს და მათ კავშირებს ერთმანეთთან, აგრეთვე ამ უკანასკნელთა საწარმოსა და იურიდიულ ერთეულებთან კავშირსაც.

ახალი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა დემოგრაფიული მოვლენების აღწერის დამკვიდრება. უკვე ბიზნეს რეგისტრის სისტემა მოიცავ-

და ინფორმაციას დემოგრაფიული მოვლენების შესახებ LKAU-ის დონეზეც კი.

დანიის ბიზნეს რეგისტრის მეოთხე ჩამოყალიბება. 1992 წელს დღგ-სა და საგადასახადოს სამსახურები გაერთიანდა. გადახედილ იქნა ადმინისტრაციული ბიზნეს რეგისტრის შესახებ კანონიც. დაყენებულ იქნა მოთხოვნა, იმის თაობაზე, რომ საჯარო ადმინისტრაციას ერთი და იმავე ინფორმაციის მისაღებად ერთზე მეტად არ მიემართა პირისათვის.

შემდგომი განვითარება. ბიზნეს რეგისტრის შემდგომი განვითარება/(გაუმჯობესება) განხორციელდა მასში საწარმოთა ჯგუფების ჩართვით. შემოღებულ იქნა იურიდიულ ერთეულთა მფლობელების რეგისტრირების სისტემა. დამკვიდრებულ იქნა ევროპის ჯგუფის რეგისტრთან მონაცემთა ბაზების გაცვლის წესი.

დანიის სტატისტიკის სამსახურმა აგრეთვე დიდი მუშაობა გასწია ჩრდილოვანი რეგისტრის აღმოფხვრაზე. ერთ-ერთი ბოლო დროის სიახლე კი სასოფლო-სამეურნეო რეგისტრის ბიზნეს რეგისტრთან გაერთიანება იყო.

რამდენიმე წლის წინ დამქირავებელთა მიერ საგადასახადო სამსახურებისათვის თავიანთ დასაქმებულთა შემოსავლებზე ინფორმაციის მიწოდების ახალი სისტემა იქნა შემოღებული, რომლის თანახმადაც დამქირავებელი არა მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის, არამედ იმ ადგილობრივი ერთეულის საქმიანობის სახის შესახებ ინფორმაციასაც იძლევა, რომლითაც დაქირავებული არის დასაქმებული. ეს ინფორმაცია იძლევა არა მხოლოდ დასაქმების შესახებ ძალიან კარგი სტატისტიკის წარმოების საშუალებას, არამედ იმის დანახვის საშუალებასაც ადგილობრივი ერთეულის საქმიანობის სახე ხომ არ გადავიდა ახალი დამქირავებლის ხელში (ასეთის არსებობის შემთხვევაში ახალი საწარმოს ჩამოყალიბებას ექნება ადგილი).

იმედოვნებენ, რომ 2016 წლისათვის კომპანიებისათვის აუცილებელი გახდება სხვა საწარმოების მფლობელობის შესახებ ინფორმაციის ბიზნესის სამინისტროსათვის მიწოდება. თავის მხრივ ეს უკანასკნელი დანიის სატატისტიკის სამსახურს მიაწოდებს აღნიშნულ ინფორმაციას.

გამოყენებული ლიტარატურა:

1. Generic Statistical Business Process Model, UN Economic Commission for Europe http://www1.unece.org/stat/platform/display/GSBPM/GSBPM+v5.0
2. http//www.geostat.ge/
3. http//www.statisticssolutions.com/
4. Statistical Units Regulation, Council regulation (EEC) No 696/93 of 15 March 1993, http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:1993R0696:20081211:EN:PDF

BUSINESS REGISTERS IN DENMARK

MANANA TELIA – PhD of GTU
E-mail: t.beridze@yahoo.com

Summary

In the current process of economic globalization and the rise of the great challenges of the statistical business register of internationally comparable statistical business registers in demand.

First Business Register established in Denmark in 1959. Adopted a special law, which was reflected in the difference between the statistics and the Central Administrative Unit registrsa the business register. One of the recent innovations in the agricultural community of the register to the business register.

A few years ago by employers to their employees' income tax services for a new information system was introduced, according to which the employer is not only income tax, but also the local unit of the type of information to which the employee is employed.

Hope that it will be necessary in 2016 for companies in other industries to provide the information about the owners of the business. Danish Statistical Office of the latter in turn provide requested information.